



ფასი 50 ჰ.



საზრატის პოლიტიკური მწვერვალიდან.

№  
53

1920 წ.

დეკემბრის 12



პატრიარქი ნოე. (გაკვირვებული) ვაა, ინჩეს ტო! ასეთი ცხოველი როდის გამოვუშვი მე კილობანიდან?!



### ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი

ქვეყანა კვლავმცა ტრიალებს, დე იტრიალოს ჯარამან!  
 მთვარე შუქსა ჰფენს, მზე სხივებს, ფრქვევა არ დაიზარა მან.  
 წევს არხეინად ქაბუკი, ძილი ძმად შეიყვარა მან,  
 წევს გაშოთილი ჩრდილთა ქვეშ ქართველი ბიკი ყარამან.



სიზმრებს არ ჰხედავს ძილშიგან ყარამან გზათა პირელი,  
 ამა უბანში ვაჟკაცად ბიკია სხვათა პირველი.  
 ხარ-კამეჩს დასდევს, შეშას სჭრის, იმდერის გაუჭირველი  
 თვალწარბეცატი აქვს სამშობლო, არა სხვათაებრ მწირველი.

### ლ ე გ ე ნ დ ა

(ქესხნებ იმისა თუ როგორ მოიგონეს საცერი)

ძველი პური შეხვდა ახალს  
 შეჰხვდა და ეაგეთა...  
 მიაძახა — გენაცვალე  
 ეგრე რამ გამოგაკეთა?...  
 შეგყურებ და ველარა გცნობ,  
 სახე სულ მთლად გამოგცვლია!..  
 გიორგის მზეს გეფიცები,  
 ვერ მივმხდარვარ რა მოგსვლია!  
 როგორც წესი მოითხოვდა,  
 კეთილშობილი და ზრდილი:  
 მას ახალი უბასუხებს  
 დარცხვენილი, ფერმიხდილი:  
 — მე კი ვფიქრობ ძველისაგან  
 არაფრით არ განვირჩევი..

ძველებურად ცომი დამდევს,  
 ვიღვები, როგორც კევი.  
 მცირე ხანი თუ დამყონდა  
 ვქვავდები ვით შარმარილო...  
 — აბა, რაებს ლაპარაკობ  
 ჩემო კარგო და კეთილო?!.  
 ვერა ხედავ, გენაცვალე,  
 სახე როგორ დაგეწმინდა?!  
 აღარც ჩაღა გირვეია,  
 აღარც ჩოთქი, არც მაგიდა;  
 ერაძე კი დაგენაცვლოს  
 და ივანე ქაფქანიძე.  
 სასწაული შეგმთხვევია  
 ისე გამოცვლილხარ პირზე!..  
 აგარაკად ხომ არ იყავ  
 ბახმაროს, ან აბასთუმანს?!.  
 შენისთანა პურში ახლა






სძინავს ბიჭს. ზეცა ლაყვარდი სახეს იბურავს შავადა.  
 მზე გაეხვია ღრუბლებში, გაჰქრა თვალსანახავადა.  
 დასჭექა. ელვამ დასერა ღრუბელნი დასაწვავადა.  
 გამოელვინა ყარამანს, გული ეტკინა მწვავადა.

იძლევიან ცხრამეტ თუზანს.  
 — ღმერთო, ჩემო! ნუ თუ მართლა  
 ამგვარათ ვარ გამოცვლილი?!.  
 ერთი კია... ახლა ჩვენთვის  
 მოიგონეს ბადე წვრილი.  
 ვგონებ „საცერს“ ეძახიან  
 გაბმული აქვს ცხენის ძუა...  
 და ამ სახის გათეთრება,  
 მისი ბრალი აღბად თუა.  
 — იმ ბადეში უნდა გაძვრეს  
 ყველა, ვისაც ზელენ ცომად??.  
 — რა თქმა უნდა!.. ჩოთქებისთვის \*)  
 კი ვიწროა გაძრომათ...  
 — რა ეშმაკები არიან!!!  
 ნეტავ ეს ვინ მოიგონა?  
 — როგორ თუ ვინ? იმან ძმაო,  
 ვის ჰკუა აქვს თავის წონა.  
 აი, გეტყვი ერთ ლეგენდას  
 იქნებ სმენად მოგეწონოს.  
 აპდროინდელ ბულკებივით  
 გატყუებდენ არ გეგონოს.

„თურმე ერთი მინისტერი  
 აივანის იწვა პირად...  
 თვალნი ზეცად აღეღლინა  
 ლაყვარდ სივრცის განსამზირად.  
 იქ, ღრუბელთა ქარავანი  
 მისცურავდა ლაღად, სრულად;  
 და მთის მკერდზე გროვდებოდა  
 საოცნებო ბამბის ქულად.  
 — ოჰ, ნეტავი ეს ღრუბლები,  
 ბამბა იყოს დაპენტლი!  
 ვეროპაში გამეტანა,  
 იქ მოეცათ თეთრი ფქვილი!!  
 ესა სთქვა და ნატერის საგანს  
 თვალნი სიმწრით განაშორა;  
 და მიაპყრა სამზირალნი  
 უფრო ახლო, განა შორა.  
 დირესა და დირეს შუა  
 ნახა თვალთა არ ნახული!..  
 მწერსა, ვინმე ბოჩლორიკას  
 ბადე ჰქონდა გამართული!  
 ოსტატურად მოექსოვა  
 მწერს ის ბადე სანადირო,  
 მასში ზეცა გამოჰკრთოდა  
 ვით ფირუზის ზღვა უძირო!

\*) ზეპირ გადმოცემით ერთხელ თურმე გამომცხვარ  
 ბურში გვარდიელებმა ჩოთქი აღმოაჩინეს.








მამულის არედ იხილა ბუჩქებში განასხვავები,  
 გაუმადლარი სვავ-სვუვი, უჯიშო ყორან-ყვავები.  
 მისად სამტროდ და სამუხთლოდ უცხოთგან მონაშავეები,  
 ეკვეთა ბიჭი ყარამან, დააყრვეინა თავები.

სხივი მზისა ჰკრთოდა მასში  
 და ნიაფი მას არხვედა...  
 მინისტრს, ამა სანახავმა  
 აურეკა გულსა სევდა!  
 — ნეტავ რისთვის გაუქიმავს?!  
 ვის ერჩის, ან რას უქადის;  
 ის ცხრაფეხა ბუზანკალა  
 „ხაზენინი“ ამა ბადის?  
 სთქვა მან ეს და აბეზარი  
 ბუზი ცხვირსა განიშორა...  
 (ურცხვად ოფლსა რომ სწუწნიდა  
 უსაქმო და მუქთახორა.  
 ბუზი შლეგი, ბუზი მხეცი  
 დაფრთხა, ჯიქურ გაექანა...  
 გზად ხიფათი შეხვედებოდა  
 მოელოდა ამას განა?!)  
 გაექანა დანაფრთხოზი  
 და ბედისგან განაწირი,  
 ღირეთ შორის მახეს მოხვდა  
 ვით სასირე ბადეს სირი.  
 ბადეს მოხვდა და გაემა...  
 ვიწრო დარჩა გასაძრომი!  
 მყის ობობაც დაეძგერა  
 მოდარაჯეთ ახლო მჯდომი.  
 და დაიწყო მუხანათმა  
 საქმე ბილწი, საქმე ავი...  
 ჯერ ბუზს სისხლი გამოსწოვა

და გააძრო შემდეგ ტყავი.  
 მინისტერი იქა მწოლი  
 კაცი იყო შორს გამქვრეტი,  
 და მას ამა სანახავმა  
 არ კი დაუხვია რეტი  
 — აჰა!.. (სთქვა მან) მადლი უფალს  
 მადლი ასჯერ ასეული!  
 დიდება მას, ვინაც თვალ წინ  
 მოახდინა სასწაული!..  
 აზრი მზიურ გამინათლდა  
 თითქოს ახლად დავიბადე!  
 დღესვე ვბრძანებ: მომიქსოვონ  
 ძუისაგან მსგავსი ბადე!..  
 ბრძანა და მყის მოაკვეცეს  
 ყველა ვირებს ძირში ძუა...  
 ასე ფხიზლობს და მუშაობს  
 ჩემო კარგო, კაცის ქკუა.  
 — ამ ბადეში გვეცრიან ახლა...  
 ეწოდება მას „საცერი“,  
 სჩანს იმისი ბრალი არის  
 თუ მართლა მაქვს კარგი ფერი.

შორიელი







ოდეს დაჰკვეთა თავები და გამობრუნდა ყარამან,  
 შეჰხედა... ნაცვლად პირველთა სხვა თავი დაიყარა მან.  
 კვლავ მიუბრუნდა, უშველოს კობტად ნაჯახის ხმარა მან,  
 შემუსრა. ვერ თუ იხმაროს ორგულმან უტიფარამან.

## წითელი რკალი

ყრმა მსწრაფელ მოზარდი. გიჟი მამა. ვიწრო აკვანი.  
 გუმბრში პოლოსა ოსმანასთან ზავს სწერდა როცა,—  
 წითელ დელიჟანს კრძალვით შეხვდა აიასტანი...  
 და მოსკოვის მზემ არარატის მწვერვალს აკოცა.

გრძელი ზღაპარი. ნაზი სევდა. კობტა თბილისი.  
 სომეხი თათრის სადღეგრძელოს სვამს აზარტეში...  
 თათარმა სომეხს ჩაუტკბილა პირი ირისით  
 და... უძილობა სკირს ჩრდილოეთს კოლხეთის ეშხით.

მსუქანი ცხვარი. შავი ღვინო. თეთრი ღილაბი.  
 ირგვლივ გვარტყია მძლავრი ცეცხლის მხურვალე რკალი.  
 ბორბოტ განზრახვას ვერ დაფარავს თეთრი ნილაბი  
 და... ივერია არ გახდება სხვისი სათალი.

ყრმა მსწრაფელ მოზარდი. გიჟი მამა. ვიწრო აკვანი.  
 გუმბრში პოლოსა ოსმანასთან ზავს სწერდა როცა,—  
 წითელ დელიჟანს კრძალვით შეხვდა აიასტანი...  
 და მოსკოვის მზემ არარატის მწვერვალს აკოცა.





უკუ მობრუნდა ქაბუკი უხვად ოფლ დანადგარები,  
 უჭერეტს... გამოჩნდა ორგული აწ კვლამცა სხვათა გვარები,  
 თავსა დასხმია, მამულის გადმოულახავთ მზღვარები.  
 ეკვეთა გააფთრებული, დღე გაუთენა მწარები,

**სადღეისო.**

იუმორისტი გახლავარ,  
 სახელათ მქვია აკილო.  
 დაცინვის გულა აეავსე  
 და მინდა „მათრახს“ ავკილო.  
 კარი გამიღე ეშმაკო,  
 თუ გინდა ბევრი გაყილო.  
 სიდან დავიწყო, არ ვიცი,  
 შევალო ვისი კარები,  
 შიგ რომ შევიდე, ვაითუ  
 გამიიმასქნან ძვალები.  
 სჯობია ისევ აქ სადმე  
 კარებსა მოვეფარები.

ხომ ხედავთ აგერ მაგიდას  
 რომ მოსჯდომია „ბარიშნა“?  
 გუშინ რომ საქმე მივეცი  
 მან დღესაც ვეღარ ჩანიშნა.  
 სარკეში ჭვრეტას მოუნდა,  
 როგორც „მათრახმაც“ აღნიშნა.

ის ვაჟიც, იქ რო ბოლთას სცემს,  
 დიდი მშრომელი კაცია.

ათზე შემოდის, პირველზე  
 შინ მიდის „დანაქანცია“.  
 იმისი შრომის საგანი  
 ბრძანდება კოხტა ფაცია.


გარეთ კი ხალხი ბუზღუნებს,  
 გადაქცეული გულადა,  
 ან რა ქნას? მოთმინებისა  
 ძაფი უწყდება სრულადა ..  
 თუ კიდევ ასე გაგრძელდა,  
 ვაჰთუ გავარდეს თულადა!

დღეს ეს იკმარე, ეშმაკო,  
 შემდეგს მოგართმევ ხვალ კიდე.  
 „მათრახის“ პირველ ფურცელზე  
 ჩამოამწკრივე, აკიდე.

ხუმარა.







და შემობრუნდა. დამაშვრალს სახე უღიმის მზიანი,  
 უხარის, მამულის ორგულმან ვერ მიუყენა ზიანი;  
 უკუიხედდა... იხილა თავნი შუბლ ვარსკვლავიანი,  
 ნაჯახი დაუტრიალა, არე გასწმინდა ტყიანი.  
 ყარამან ბიჭი, სამშობლოს ძუძუთი განაზარდია...  
 პირმშოა, მამულს პატრონობს, გულში არ შესდის დარია.  
 სხვას არას ერჩის... მომხდურთან ბრძოლაში ავანგარდია.  
 განმტკიცდეს!.. გარიცხვმრავალდეს ჩვენი სახალხო გვა-დია.

ეშმაკი

### ბაბანაკი და სატუცარი\*)

ჩვენი ერის „უფლება და ნებაში“. —  
 სხდომა იყო, დამფუძნებელ კრებაში  
 ხალხმა, ერმა ვინც გააბელადა  
 და ამ კრებას მიუჩინა მცველადა,  
 დასასწრებლად კრებას მიიჩქაროდა,  
 ზოგიც სწყყენდა, ზოგიც რამ უხაროდა.  
 დარბაზისა რომ შეალო კარები,  
 ბაბანაკი, ქული, სატუცარები—  
 გაიხადა, როგორც რიგი-წყესია,  
 თუმც იდგა იქ დარაჯების სესია;  
 ჩამორთმევას ცდილობს თუმცა ფარეში  
 მარა დარჩა ისიც სიმწყურეში.  
 „დამანებეთ... აქ დავტოვო განა-ო?!“

მირჩვენია რომ წაგილო თანა-ო.  
 სკამზე დავდებ ზედაც დავჯდები ო  
 და მოპარვის შიშით არ მოგვედები-ო“  
 ბაბანაკი სკამზე დასდო ხენეშითა,  
 სატუცარიც იქვე სკამის ქვეშითა.  
 დაჯდა კიდევ ბაბანაკთან ბლოკითა  
 ფეხ მორთხმული მუხლზე „კატელოკითა“,  
 და თვალებით ყველას ემუქრებოდა  
 (ზოგ ლოყებზე სიწითლე არ ქრებოდა)  
 მიზეზი ხომ ყველასათვის ცხადია?  
**ქუჩიშვილო!** მეც დავცალე ბადია.  
 აღვავლინე ლოცვა სადღეგრძელოზე  
 რომ „მან“ ბურთი მიიტანოს ლელოზე.

ბუტუნა



\*) ბაბანაკი — პალტო. სატუცარი — კალღში.



# მიტიუხას ოინები.

მიტიუხა პუსტოზვონოვი დამსახურებული კომუნისტი კაცია. ძველი მთავრობის დროს „ობ-რანკაში“ მუშაობდა, ახლა „ჩრეზვიჩაიკაში“ საქმიანობს.


მიტიუხა პუსტოზვონოვმა რუსეთის ყველა კუთხეებში მოსპო თავისუფლება და დასასრულ ჩვენს ქვეყანასაც ეწვია. — საქართველოც ისე უნდა გავანადგურო, როგორც თვალუწვდენელი რუსეთიც; ფიქრობდა მიტიუხა, მაგრამ არ იცოდა როგორ მოეყვანა სისრულეში თავისი განზრახვა. — უმჯობესია ტკბილი ენით მოეხიბლო, დაეიმეგობრო და შემდეგ დაეაყენო შავი ღლეო, გადასწყვიტა მან პირველ ყოვლისა. მივიდა საქართველოსთან და დაიწყო:



ჩემო თვალის სინათლევ და ძვირფასო მეზობელო! დაიწყო მიტიუხამ — შენ არ იცი რა ბედნიერი იქნებოდი ჩემთან რო ყოფილიყავ და ჩემი წესები შემოგელო. შენ იქნებოდი ჩვენი მზე, ჩვენი ვარსკვლავი. სულ ხელის გულზე გაგოგმანებდით, შენზე ვილოცავდით; ყოველგვარ შენს თხოვნას ავასრულებდით და...

**საქართველო.** კმარა, კმარა მეზობელო. ჩემი თხოვნა მხოლოდ ერთია: თავი დამანებო, ჩემს მტრობასა და ორგულობაზე ხელი აიღო.

— ოჰო! წარმოსთქვა შერცხვენილმა მიტიუხამ. — ეს ისეთი ეშმაკი ვინმეა, რომ ტკბილი სიტყვებით ფონს ვერ გაეალ. აქ სხვა ოინია საქირო.




— რაკი შენთან რჩევა დარიგება არ გადის, მაშ საქირო ყოფილა ძალით გაგაბედნიერო! დასძახა მიტიუხამ და ხმალი იშეშვლა.





მაგრამ არც საქართველო დახვდა ვერაგ მეგობარს გულზელ დაკრეფილი. მახვილს მახვილით უპასუხა და კულამოძუებული მიტიუხა უკუიქცა.

როცა სული მოიბრუნა და დაისვენა მიტიუხა ახალი ოინის ძეზნას შეუდგა. მან დახატა უზარ-მაზარი და საშიშარი საფრთხობელა ინგლისელისა, დადგა შორი ახლოს და გასძახა მეზობელს:



— შეხედე, რამოდენა „ბუა“ მოდის ბათუმს შეგეკამს, შენც შეგეკამს და შენს შეილსაც. გა-მოიქეცი, ჩემს კალთებს შემოაფარე თავი, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!





დედამ შვილები გაგზავნა. მივიდნენ, ნახეს და საფროხე მართლაც საფროხობელა გამოდგა. საფროხობელას ზურგს უკან გამოძვრა შერცხვენილი მხატვარი მიტიუხა.

შექანჯრალეხულის ლექსი.

ჰა... ჰა... ჰა... ვიშ! რა დარია!..  
 ცას გადაკვრია ღრუბლები,  
 შიშველ ხის ტოტზე დამსხდარან  
 თეთრი კატები, კურდღლები.

სახლებს, ხეებს და წყაროებს  
 ყინულის ხმლები ჰკილია...  
 მოსულა თეთრი ლაშქარი...  
 ომი ექნებათ დიდია.

ამ ბებერ ზამთარს შეჰხედეთ?! —  
 — გვესტუმრა ახალ სტილითა...  
 კბილებს კბილებზე ვაცეკვებ,  
 დაფრბივარ ასკინკილითა.

მინდვრებზე, მთებზე რატომ წევს  
 ამდენი თეთრი ცხვრის ფარა...  
 სინდისს ნამუსი გაექცა,  
 და ფულებს ამოეფარა.

ერი, ჰა! რა დროს ეგ არის?!  
 დღეს მეც კი მინდა ვილხინო...  
 მოვწოვო ყინვის ლოლუა,  
 დავიფრე, დავილიდინო...

დღეს ხომ გვარდიის დღე არის!  
 ვულოცავ დღესასწაულსა,  
 სახალხო—ხალხის გულისთვის  
 რომ ახდენს დღეს-სწაულსა.

როცა საავდროთ ჩვენს ცაზე  
 ღრუბლები იგრაგნებიან;  
 ერის რჩეული შვილები,  
 ბრძოლისა ეშხით ბნდებიან.

და თუ გაუწყრა მტერს ღმერთი,  
 და სადმე დაიქაქანა.  
 უჩვენებს ორგულთ ვით უნდა  
 მწვავეთ ქოჩორის მოფხანა.

და განა ერთი, ან ორი  
 ალაგმეს მტერი, ორგული?!  
 ვინ უწყს სამშობლოს რამდენი  
 ემსხვერპლა გმირი ლომ-გული...

თავისუფლების გმირებო!  
 კვლავ ისმის მტრის კაკანია,  
 ალბათ შესცივდათ, მოუნდათ  
 აუწვათ ზურგის კანია.

ზამთრის სუსხში ხართ შექმნილი,  
 გაზაფხულს რომ მიგვაგებოთ...  
 დღეს თქვენი დღეა: გმირებო!  
 ქიქებში ღვინო ვაჩქეფოთ!..

თქვენ შემოგცქერის ქვეყანა.  
 მოყვრის და მტრების თვალთა...  
 მრავალ ცეცხლში ხართ ნაწოთობი,  
 მაგრდებით როგორც რვალია.

დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ,  
 გვარდიელთ სადღევრძელოა,  
 ვუსურვოთ, კვლავ გაეტანოსთ  
 როგორც აქამდე ლელოა...





იმედ გაცრუებული მიტიუხა ჩვეულებისამებრ სუფრას მიუჯდა. დაიდგა წინ ერთი „კვარტი“ პილატეს ცრემლი აზრის გასათბობათ და დაიწყო ფიქრი მომავალ ოინზე.

ჰარალო, თარი, ჰარალო...  
 მრავალ ჟამიერ, გმირებო.—  
 ზედი ზედ შევესვამ ყანწებსა,  
 ჭიქებსაც მოუხშირებო.

დავლიოთ ძმებო, დავლიო!?.  
 ბატკნებს მფარველობს მგლებია.  
 ე, როგორ გაგვიყირმიზდენ  
 თან და თან მეზობლებია.

ეს საცოდავი სომხეთი,  
 დაიქცა, მთლათ გატიალდა...  
 ქემალმა მოსდო ბერკეტი,  
 რა უცებ გადატრიალდა!!!

ვისაც რა სურდეს,—ჩაიცვას—  
 —წითელი თუნდ სხვა ფერია,  
 ჩვენ სხვის მიბაძვა არ გვარგებს...  
 რა ჩვენი შესაფერია?!

ვაი, რას ჰხედავს თვალები!!  
 დახე უკუღმართ დროსაო!!!  
 წითლებმა მთავარსარდლობა  
 უცებ უბოძეს ჰდროსაო.

ბებიჯანი! კვერს თუ მომიტენ,  
 მიბჭუტულ თვალში გაკოცებ;—  
 —ზანგეზურს გიძღვნი, ყარაბაღს,  
 მთელად კი მე გაგაცოცებ...

**შექანჯალებული.**

### წვრილი აშბები

(მხალღ რკინისგზელებისათვის).

#### ორი მიმდინარეობა.

ქუთაისის რკ. გზის კავშირის გამგეობის წევრთა შორის კონფლიქტი მოხდა.

ამის გამო ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი მიმდინარეობა ქორწილებში დადის, მეორე კი ნათლობებში.

თუ ფრონტის გაერთიანება არ მოხდა, მოსალოდნელია საქმის კიდევ უფრო გამწვავება.

#### „საწყალი ცხადაძე“.

მატარებლების ცნობილი რევიზორი ცხადაძე, რომელმაც მთელი თავის სიკაბუჯე უბილეთო რკინისგზელების დევნას შეაღია, ამას წინათ კინალამ დაითხოვეს კონტრაბანდისტობისათვის, მაგრამ კეთილი ხალხის წყალობით დარჩა სამსახურში. ახლა კი, რატომ მინისტრის ვაგონს მატარებელი დააჯახეო, კიდევ დათხოვნით ემუქრებიან, მაგრამ იმედი მაქვს კეთილი ხალხის მფარველობა არც ახლა მოაკლდება საწყალ ცხადაძეს.

#### ელმწერალი ბარამიძე.



ნაშაუდღევს ორი საათი იქნებოდა სამსახურში მძინარეს წავაწყდი ძლიერ გამიკვირდა მუდამ სხვების დაუდევრობის მამხილებელის საკუთარი დაუდევრობა.

წასვლისას ბარამიძეს მარჯვენა ხელში სარედაქციო წერილი შევნიშნე, რომელიც ასე იწყებოდა:

„კიდევ აბელაშვილის დაუდევრობა“.

გავწითლდი. მაგრამ სიწითლის აღმურმა იმსაც გადაჰკრა სახეზე და სიწითლე რომ დაემალა მარცხენა ხელი დაიფარა.

**კ. მწვანეყვავილელი.**





### წერილი რედაქციას.

„ეშმაკის მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ჩემი სურათი, მოკლე წარწერით. შარჟის შესახებ მე რასაკვირველია არაფერი მეთქმის, მაგრამ რაც შეეხება წარწერას, მისი გარკვეულათ აღნიშვნა დანაშაულად არ უნდა ჩამეთვალოს რომ მოვითხოვო.

მოგეხსენებათ, მეგობართა და კეთილისმსურველთა გარეშე ყველა მოქალაქეს ჰყავს უმაღლური და არა კეთილისმსურველნი. მეც ასე გახლავარ. თქვენს წარწერაში ჩემმა მტრებმა საკმაო საბუთი დაინახეს ათასგვარი კორუბის შესათხზავთ და ჩემთვის სახელის გასატეხათ.


ამიტომ თუ მართლა თქვენს რედაქციას აქვს რაიმე საილუმლო ცნობა ჩემს შესახებ და ამ ცნობაზეა აგებული შარჟისა და მისი წარწერის მოთავსება, გთხოვთ გარკვეულათ დამისახელოთ მაინც რაშია საქმე. პატივისცემით პლ. თალაკვაძე.

### რედაქციისაგან.

ამ წერილის მიღებამ ღრმა საგონებელში ჩააგდო „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია. ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ, თანამშრომელთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა შემდეგი:

„ეშმაკის მათრახის“ რედაქციას აზრადაც არ მოსვლია მეგობრული შარჟისა და უწყინარი წარწერის მოთავსებით პლატონ თალაკვაძისათვის შეურაცყოფა მიეყენებია და მით უმეტეს მისი ვერაგო მტრებისათვის საქორიკანო მასალა მიეცა.

მართალია კოლპერატიულ დაწესებულებაში მოსამსახურე პირის ჩვენ ჟურნალში დახატვა ერთობ საფრთხილოა, მაგრამ პლატონ თალაკვაძეს ჩვენი რედაქცია იმდენათ საიმედო მუშაკათ სთვლის, რომ წარმოიდგინეთ ამასაც არ შეუშინდა.



ამიტომ მთელი შემადგენლობა „ეშმაკის მათრახის“ რედაქციისა წარსდგა პლატონის წინაშე და ბოდიში მოიხადა უნებლიეთ მიყენებულ მწუხარების გამო.

იმედი გვაქვს პლატონი ჩვენზე გულს მოიბრუნებს და თუ ოდეს სიკვდილი უწერია თან არ ჩაიტანს ჩვენს სამღურავს.

### ფ ე ლ ა მ უ შ ი

#### დათიკო დუნდუას

სწორედ იმ დროს მომივიდა პროფ. კავშირთა საბჭოს განკარგულება „ქუთაისში უნდა წახვიდე საბჭოს საქმეებზე“ როცა დედაჩემისაგან წერილი მივიღე.

— საყვარელო შვილო!—მწერდა დედაჩემი სხვათა შორის—ყოველთვის გიყვარდა ფელამუში და ამ დროს აუცილებლივ ჩამოხვიდოდი. წრეულს


რისთვის დაგვივიწყე. შენი წილი ფელამუში შენახული მაქ და გიცთისო.“

ფელამუშის ხსენებაზე ნერწყვი პირში მომადგა. გადაწყვეტილი მიქონდა უარი მეთქვა საბჭოსთვის ქუთაისში წასვლაზე, მაგრამ წერილმა გადამაფიქრებია. „ურია წყალს მიქონდა და გზაც იქით ქონდაო.“

კარგათ ვიცოდი რა ჭაბანწყვეტა გადამხდებოდა ბილეთის აღებაზე და ამიტომ საბჭოს გამოვართვი მოთხოვნილება. ერთზე აიოლოს მო-



# ჭ ი დ ა ო ბ ა.



## ორი გმირი.

ორი გმირი დაიტაკნენ:  
 ლევანი და დავითო,  
 ლევან ამბობს: „ფრთხილად დავით,  
 ფერხთ ქვეშ უნდა დაგითრიო“.  
 დავითი კი უპასუხებს:  
 „უკაცრავად, ვერ მოგართვი“.

განა ვერ გრძნობ, რომ დაგჯაბნე,  
 პირველობა ჩამოგართვი“.  
 და დავითურ სარმას უგდებს,  
 ყირამალა ატრიალებს.  
 ნეტა რა აქვთ გასაყოფი  
 და სადაო ამ ტიალებს?!—

ხუმარა.

ვაწერიე ხელი და მეორეზე დომ. ნაკაიძეს. ვი-  
 ფიქრე ან ერთი გაჭრის და ან მეორეთქო. არ შეგ-  
 ჯამოს ჭირმა! ბათომის სადგურის უფროსი ახირე-  
 ბული კაცი გამოდგა, უკეთ ვთქვათ „მიუღღამე-  
 ლი.“ ჩემთან ერთად რიგს გარეშე ბილეთების ასა-  
 ლებათ რამდენიმე პირი ეწვია მის კაბინეტს. მო-  
 რიგემ შეიტანა შიგ ჩვენი ქაღალდები და ცოტა  
 ხნის (დაახლოვებით ორი საათის) ცდის შემდეგ  
 გამოიტანა რეზოლიუციებით. მე ვთხოვდი 2 კლას-  
 სის ბილეთს. ჩემს ქაღალდზე ეწერა: „მეცეს მე-  
 3 კლასის ბილეთი.“ მე პროტესტი განვაცხადე.  
 მორიგემ გამილო კარი და შემიყვანა უფროსის  
 ოთახში.

— ბატონო სადგურის უფროსო, მივმართე,  
 საბჭო მე 2 კლ. ვთხოვდათ და თქვენ მე-3 მი-  
 გიციათ.

— არ გახლავთ!

— დათეშიძისთვის არის და...

— მოწყალეო ხელმწიფევე; წარბების შექმუხ-  
 ვნით მითხრა უფროსმა. მე უკეთ ვიცი ვის რა  
 ერგება. დათეშიძე ბურჟუა და არ შეუძლია მე-  
 3 კლასში ჩაჯდეს. თქვენ პროლეტარი ხართ და  
 მიჩვეული ხართ მე-3 კლასს.

— „ჩემოც“ ბურჟუაა?

— დიახ! „ჩემოც“. ხომ დაკმაყოფილდით? პრო-  
 ფესიონალურ კავშირებს მე 2-კლ. ბილეთი!..

მე სრულიად დაკმაყოფილებული მისი არგუ-  
 მენტაციით გავეშურე საღაროსაკენ და ვიყიდე  
 მე 3 კლ. ბილეთი.

მატარებლის წასვლას 1 1/2 უკლდა. სადგუ-  
 რის დარბაზი ისე იყო გაქედლილი ხალხით, რომ

განძრევაც არ შეიძლებოდა. რის ვაივავლახით,  
 შევძვერი დარბაზში. ვატყობდი, რომ ფეხები მი-  
 წას სცილდებოდა. რას ვიზამდი, მივყევი ისევ ხალ-  
 ხის ტალღას. საკმაო დახელების შემდეგ როგორც  
 იქნა საპარკმახეროში შევხტი.

ვიღაც ლამაზათ გაპარსული ყმაწვილი (თურ-  
 მე ქორწილში იყო დაპატიჟებული) ადგა სკამი-  
 დან და დალაქს 20 მანეთი მისცა დალაქმა მად-  
 ლობა გადაუხადა. მე თვალები ვაცეცე. ბათომის  
 საპარკმახეროში როცა 150 მან. გადაიხდი პირის  
 მოსაპარს დალაქი ისე გიყურებს თითქოს გა-  
 გეცარცვოს.

ახლათ გაპარსული ვიყავი, მაგრამ ოც მანე-  
 თად გაპარსვამ შემაცდინა და დავექე. გაქაფა  
 საჩქაროთ დალაქმა საპონი და მომისვა პირზე.  
 ისეთი შევკვივლე, რომ დალაქს სასაზნე ხელიდან  
 გაუვარდა. დარბაზში ორ-სამ ქალს გული შეუ-  
 წუხდა. უტბათ გაჩნდნ რკინის გზის მილიციო-  
 ნერები.

— გააფუქე ბიჭო კაცი? დაქერი შე ოხერო?  
 მიადგენ დალაქს.

დალაქი-კი ტირილით ირწმუნებოდა:

— არა, ბატონო, ღმერთი-რჯული! არ დამი-  
 ქრია.

— სად დაგქრა, ბატონო, მეკითხებოდა ერთი.

— დაქრით არსად ბატონო, მაგრამ ისეთი ცი-  
 ვი საპონი წამისვა, რომ ლოყები სულ გამიყინა.

— შე მამაცხონებულო მაროჟნით ხარ გაზ-  
 დილი თუ რა დაგემართა... მაგისტვის იკივლე.  
 შემომიკურთხეს ერთი ქრისტიანულათ მილიციო-  
 ნერებმა და გავიდნ დარბაზში ხალხის დასამშვი-  
 დებლათ.



ფერ წასულმა დალაქმა როგორც იქნა გამ-  
პარსა პირი.

— რამდენი ვნებას? შევეკითხე და თან ორი  
10 მანეთიანი მოვიშხადე ხელში.

— 200 მანეთი, ბატონო.

ერთი კიდევ მინდოდა შეკივლა, მაგრამ მი-  
ლიციონერების შფიმინდა და თავი შევიკავე.

— კი მაგრამ, ის ყმაწვილი...

— ის რკინის გზის მოსამსახურეა, ბნო

გადეხადე 200 მან. მოპარსულ პირის გაპარ-  
სვაში და გავსწიე ვაგონებისაკენ. შენ არ მოუკ-  
ვდე ჩემ თავს!

ყოველ ვაგონთან ორმაგი რიგი იყო: მარ-  
ცხნიდან და მარჯვნიდან. დიდი წვალებით, ერთი  
სათის ცდის შემდეგ სრულიად გაწუწული შვეე-  
დი ვაგონში.

ასე უსიამოვნოთ დაიწყო ჩემი მოგზაურობა,  
მაგრამ რაც ბათომის სადგურზე სიამოვნება და-  
შაკლდა შემდეგ შევისრულე.

ყოველ სადგურზე ჩვენი მატარებელი ერთი  
საათით ისვენებდა. მეც გადმოვდიოდი ვაგონიდან  
და შეკრებილ ხალხს მოხსენებას ვუკეთებდი სხვა  
და სხვა თემზე.

ერთ-ერთ სადგურზე ვრცელი მოხსენება წა-  
ვიკითხე იმის შესახებ, რომ სადგურის მორიგეს  
სრული უფლება აქვს იძინოს მატარებლის მოს-  
ვლისას და ღროზე არ გაისტუმროს მატარებელი  
თუ კი ამ ღროს კარტის სათამაშოთ არ არის წა-  
სული.

სადგურ კოპიტნარში, სადაც მატარებელი  
1 1/2 საათს იდგა, თავი მოუყარე კონდუქტორებს  
და აუხსენი, რომ მათი საქციელი სწორეთ კანო-  
ნიერია, უბილეთო მგზავრს ორმაგი ფასი უნდა  
გადაახდევინონ, მაგრამ კანტორაში არ უნდა წა-  
რადგინონ. აკრფილი ფული მცირე ჯამაგირის  
შესაესებათ მარცხენა ჯიბეში უნდა ჩაიწყონ.

განსაკუთრებით დიდი მოხსენების წაკითხვა  
დამპირდა, სად. მუხიანში. მოხსენება განსაკუთრე-  
ბით კომისრის მოვალეობას შეეხებოდა. მაგალი-  
თად მეწისქვილე პარტიობით სიმინდს ფქვავს და  
გლახს კი ერთი ფუთი ვერ დაუფქვავს. ეთქვათ,  
რომ ეს ამბავი საბამ ჩაიდანა. კომისარი მოვალეა  
საბა გამოიხმოს წისქვილში და ერთი ლაზათიანად  
შიბეგვოს. ხოლო რომ ხელი არ აუკანკალდეს და  
თოფის კონდახი მარჯვეთ ექიროს, უნდა გადა-  
კრული იყვეს. ეს უკანასკნელი თავის გასამარ-  
თლებლათაც გამოადგება: „მთვრალი ვიყავი და  
მთვრალს ყველაფერი ეპატიება“, შეიძლება  
საბა ახლათ ნაოპერაციები იყოს და ვერ გადიტა-  
ნოს „მასაეი“, მაგრამ კომისარის რა ბრალია, რათ  
დაფქვა პარტიობით სიმინდი?

ამ მოხსენებას ერობის აქიმი ფხაკაძეც დაეს-  
წრო. აქიმს სამი ღვე არაფერი ექამა, ახლა ნახე-  
ფარე ფუთი სიმინდი მივტანა წისქვილში დასაფ-

ქვავათ და ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ ჩემმა მოხ-  
სენებამ ისე დაინტერესა, რომ მატარებლის და-  
ძვრამდე ბაქანს არ მოსცილებია.

მუხიანში შეცდომით მე-2 კლ. ვაგონში შე-  
ვედი, მაგრამ ისეთ საინტერესო ხალხს წავაწყდი  
ვაგონში, რომ შეცდომა არ მინანებია.

ჩემი ყურადღება სამმა ებრაელმა მიიპყრო.  
ტუჩი ერთმანეთზე მიედოთ და ჩუმით რაღაცაზე  
გატაცებით მუსაიდობდნენ. ერთი მათგანი სახელათ  
რაფაელი ეტყობოდა „მიღებული“ კაცი იყო. არ  
ვიცი ჩვენ მთავრობასთან რა დამოკიდებულებაშია,  
მაგრამ ებრაელთა საკონსტიტუციო კომისიაში,  
რომ შედის ეს აშკარაა.

რაფაელი არწმუნებდა ორ ამხანავს, რომ  
ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის გადატანის საქმე  
უკვე გაჩაღებულია. ერთი სადილი დასახლები და-  
ცლილი იქნებაო. ამის შემდეგ უფრო ჩუმით დაი-  
წყეს ლაპარაკი. მხოლოდ ცალ-ცალკე ფრაზები  
მესმოდა.

— ე შენი სიძე ძაან ბიჭია, ვადაი. მისი ძმაი  
ალალმართალია, მარა ცოტა ლაყუა. სიძე კი ძაან  
ბიჭია, მოხერხებულია, ვადაი, მოხერხებული.

— 12 კაცი შევიყვანე. ვასვი, ვაქამე. აბა  
რაფა გინდა ვადაი, მანას იგებ, შაური დახარჯე.

— ყველასთან გავაკეთე ვადაი საქმე, ამ ბა-  
თუმში, მარა ე ვალოდია სულაქველიძეს ვერაფე-  
რი მოუხერხე.

— მილიონი რო მისცე არ აიღებს. ავერ  
რაფიელი თუ მოგვიწყობს საქმეს.

— ჩემთვის ვადაი წყალში გადავარდება. გუ-  
შინ წინ რომ დავაქვრინე ი ბიჭი.

— აი შენ კი გენაცვალე ვადაი...

ამ ღროს მატარებლიც გაჩერდა და დიდიხნის  
უნახავი მეგობარი ქუთაისმა გულში ჩაიკრა.

ათი ნაბიჯი არ გადამიდგამს ქუჩაზე, მაგრამ  
მაშინვე მივხვდი, რომ ქალაქის გამგეობა თავის  
სიმაღლეზე იდგა.

კოკის პირულათ წვიმდა, მაგრამ ერთ ნამცეც  
ტალახსაც ვერ ნახავდით ქუჩაში. ქვაფენილები  
სწორეთ მოკიჭიკებულნი.

პირველი ჩემი სურვილი, რასაკვირველია,  
ერობის ნახვა იყო. თუ შენობის ნახვა ქვია ერო-  
ბის ნახვას, მე სურვილი შევისრულე, რადგან ერო-  
ბის შენობა სადაც ერთი წლის წინეთ დავტოვე  
იქვე დამხვდა.

— სად არიან მოსამსახურეები, შევეკითხე  
ერთად-ერთ ობლათ დარჩენილ დარაჯს.

— აჯამეთში, ბატონო.

— ყველანი? იქ რას შერებინან?

— ვერ გოუძღეს, ბატონო! ამისთანა გინახავს?  
გვიყინა ხალხი. ახლა გამგეობამ მეოთხედი საყენი  
შეშა მოგვცა და იმის დასატვირთავათ წავიდნენ.

— კი მარა, კაცო, მუშებს დავატვირთეებდი.

— შენგან არ მიკვირს, ბატონო! ბიჭო, სამი



თვეა ჯამაგირი არ მიმიღია, მუშის ქირა სადაა. დალოცა ღმერთმა მუშათა მაგიდა ქე გვაძლევს დღეში სულზე 1/2 გირ. მქადს თვარა შიმშილით ამოვწყდებოდით. ცოტა ცომი ქვა მქადი, მარა მშვიერი კაცი მაგას საღ არჩევს.

ცოტა საქმე მქონდა საოლქო სასამართლოში და გავსწიე იქით. იქაური მოსამსახურეები აჯამეთში არ იყვენ წასული, მაგრამ ვა იმისთანა ყოფნას. დახეული პალტოები, ძველ ქუდებზე შემოხვეული ბაშლაყი. ჩქარი ნაბიჯით, თითქოს საღმე უგვიანდებათო, დარბიან ერთი კუთხიდან მე-

ორესკენ. რომელსაც არ მივმართე ხმა არავინ გამცა. ბოლოს ვნახე ერთი ქალი (ვაცხოვე მამამისი). მივეცი 500 მან. „ნაპუდრუ“ („ნაჩაი“ აღარაა მოდაში) და რამდენიმე საათში საქმე მხათ იყო.

ბოლოს საქმათ მოწყენილი გავემართე შინსაკენ.

არასდროს ისე გემრიელი არ მჩვენებია დღე-ღამის გაკეცებული ფელამუში, რომ ცოლის შერთვაზე არ დაეწყო ლაპარაკი მგონი სამ საინს შევკამდი.

გრ. სლუჩანინი.

# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ე ბ ი

## კაფე-საკანდიტარო **ოგანეზოვისა** კაფე-საკანდიტარო

სოლოლაკისა და პეტრე დიდის ქუჩების კუთხე, № 11-2.

ვისაც უყვარს: ცხელ-ცხელი ხაქაპურები, ნაღები (კაიმალი), თაფლი-ფიჭა, ჩაი მურაბით, მაწონი, რძე, ყავა, საღამოობით მორჩგი შეკამანდი ხორცეულობისაგან და მინერალური წყლებით მობრძანდეს და მიირთვას ჩვენს **კაფე-საკანდიტაროში**.

ფასები სხვებთან შედარებით იაფია.

ფასები სხვებთან შედარებით იაფია.

ბატისციცემით **მ. ოგანეზოვი**.

## წ ი რ ვ ე ლ ს ა რ ი ს ს ო ვ ა ნ ი რ ე ს ტ ო რ ა ნ ი

ერთობის ქუჩა  
(ყოფილი კრუზენშტერნის)

## „ს ი მ ა რ თ ლ ე“

სერბო კახეთელიძისა.

მზადდება ყოველ დღე გემრიელი ქართული საჭმელები.

## ლაგვის უუუაგი

მუდმივ მ. ტალიურ ხარხიში

ყალბი დაძნალება აკრძალულია

მთავარი საწყობი (ბათუმად, ცალ-ცალკე)

მთელი კავკასიისთვის არის

## ნ. ლგობაკის

მალაზიაში

მისამართი: თბილისი, თედას ქუჩა № 3

საჭიროა ყველგან გამყიდველები

მინქი ეტლებისთვის და სარგოდ ავტომობილებისთვის.

4-4.

## ფ. დ. გოგელია

სამანუფაქტურო და სხვა

საქონლის გამყიდველი

## კანტორა

დამფ. კრების და ნიკოლაევის

ქუჩების კუთხე № 1

ხრდილოეთის ნომრების ზირდაზირ.

3-4.



# ანგორაში.

„თათრები რუსის ბოლშევიკებს ძველი რუსული ჰიმნით შეეგებენ“.

(გაზეთებიდან)



თათარი. ეგ რანაირი „ჩესტის“ გაკეთება შემოულიათ რუსებს. წინეთ ყურთან იდებდენ გამლილ ხელს, ახლა კი ყურებში თითებს ირქობენ.

## „ეზმაკის მატრასი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ეველგან 50 მან.

ქურნალში დაიბეჭდება **განცხადებები**

რედაქციაში შეიძლება შექმნა დღემდე გამოსული ნომრების. სელის მომწერლებმა ფული შეძღვე მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის ზროს-ზექტი, № 24. ეშმაკის მატრასისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9—2 საათამდე.



საქართველოს სახელმწიფო რედაქცია. სტამბა-ლიტოგრაფია